სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 66

2015 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

"2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წვრთნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 09 მარტის N28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, ინფორმატიკისა და მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადების საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელების (ლიდერების) ერთობლივი განცხადების (ფონდში რეგისტრირებულია N404370. 18.05.2015) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წვრთნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 09 მარტის N28 ბრძანებით დამტკიცებული „2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წვრთნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურებისა და პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტი საგნის ნაკრების შესარჩევ ტურში.“

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების, საჯარო გაცნობისათვის, განთავსება ფონდის ვებგვერდზე: www.rustaveli.org.ge.

3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ .№6).

მარინე ჩიტაშვილი